

572
1949

დღეა



„ყვავილი, ტურქული ჭიჭიკანატი,
იღბინე, ქართულთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლი
სამშობლო გაახარეო.“



საქართველოს ალკა ცენტრალური
კომიტეტის ჟოზეფთვიური ორგანო
საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

აპრილი
1949

ДИЛА
ежемесячный детский журнал
ЦК ЛКСМ ГРУЗИИ



იოსებ ნონეშვილი

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

ზვარში ვაზი შეიფოთლა,
აზიზინდა მინდვრად ხნული
და ჭრელ-ჭრელი ყვავილებით
მოიკაზმა გაზაფხული.
ფრინველები შეჰხარიან
გაზაფხულის მობრძანებას.
გაშლილ რტოებს, ვაშლის რტოებს
სიო არხვეს ნება-ნება.
და როდესაც გაქროლება
მოსწყურდება ფრთამად ნიავეს,
ყვავილები პეპლებივით,
გასაფრენად ფრთასა შლიან.
ყველა შრომობს, ყველა ზრუნავს,
უსაქმურად ვერვის ნახავ.

ჰა, ფუტკარიც აზუზუნდა,
შრომის ჰიმინი შემოსძახა.
ჩვენც ხომ მუშა ფუტკარივით
საამური შრომა გველის,
ჩვენთვისაც ხომ სწავლა, სწავლა,
კიდეც სწავლა უთქვამს ღენინს.
ყური ვუგდოთ ნყაროს ჩუხჩუხს,
იადონის ხმატკვილ სტვენას
და ბუნების დიდ ფერხულში
ჩვენც მივეკეთ აღმაფრენას.
მარტო ირგვლივ?.. გულშიც ჰყვავის
სიხარულად ჩასახული
გაზაფხული, ჩვენი ქვეყნის
ხაღბთა დიდი გაზაფხული.



4939

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ბავშვობისას



ნაღველა კაკუსანი

წერილი ბავშვებს

ძვირფასო ბავშვებო, კანაკრძეთ ლენინ-სტალინის საქმე, რაც კი შესაძლებელია უოველივე გააკეთეთ, რომ ცხოვრება უველასათვის ნათელი, კულტურული და შეძლებული იყოს. ბევრი იკითხეთ, კარგად ისწავლეთ, — დიდი ცოდნა უნდა გქონდეთ. ისწავლეთ მეგობრულად ცხოვრება, დაეხმარეთ ერთმანეთს სწავლასა და შრომაში. საჭიროა, რომ ნამდვილი ამხანაგობა არსებობდეს თქვენს შორის, სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს, გოგონებსა და ბიჭუნებს, უფროსსა და უმცროს ბავშვთა შორის.

უფრო ძლიერები, მცოდნეები და მარჯვეები უნდა დაეხმაროთ თქვენზე სუსტებს და ნაკლებ მცოდნეებს.

საჭიროა აკრეთვე მშრუნველობას იჩინდეთ საზოგადოებრივი საკუთრებისადმი. თუ ხედავთ, რომ ღობე წაქცეულა, უნდა შეაკეთოთ; თუ ხედავთ, რომ შუქი ტუუილუმბრალოდ ანთია უნდა ჩააქროთ; თუ დაინახავთ, რომ ჰატარას ვინმე სჩაგრავს უნდა გამოეხარჩლოთ.

უფროსებს დაეხმარეთ, იმეცადინეთ, დაუკვირდით და ჩაუფიქრდით ცხოვრებას, შეიგნეთ ვინ არის მტერი საბჭოთა ხელისუფლებისა და ვინ მოუხარე. უნდა გქონდეთ მტკიცე ნებისყოფა, თავის მიხედვა თვითონ თქვენვე უნდა შეგემლოთ, უნდა იყოთ თავდაჭერილი, შეუპოვარი და გულადი, მხად უნდა იყოთ შრომისა და თავდაცვისათვის.

1937 წელი.

პ ი ო ნ ე რ უ ლ ი ფ ი ც ი

— გიამ ფანჯრები ჩაამტვრია.

— გიამ დღეს წესრიგი დაარღვია, მუდამ გაისმოდა საჩივარი. სამასწავლებლოში ყოველთვის გიას სიტყვებზე და სიზარმაცებზე მსჯელობდნენ.

კლასის დამრიგებელს გია ბევრჯერ დაჰპირდა, რომ გამოსწორდებოდა. ბებიაც ვერაფერს აწუბდა მასთან. გიას დედა მსახურობდა და შინ გვიან მოდიოდა, მამა კი ფრონტზე დაეღუპა.

— ბებიეო, კლასში არ მიშვებენ, დედა დიბარეს, ახლაც შენ მიდი, დედას ნუ ეტყვი და დღეიდან გამოვსწორდები, — ხშირად ეხვეწებოდა იგი ბებიას. ბებიაც უჯერებდა, მაგრამ დღეები გადიოდნენ და მასწავლებლები კი მიანც საყვედურობდნენ.

გია მეხუთე კლასში იყო, მაგრამ პიონერთა რიგებში ჯერ კიდევ არ იღებდნენ.

ერთ დღეს, კლასში, პიონერბელმძღვანელი შემოვიდა და განაცხადა, რომ ერთ კვირაში რაზმის შეკრებას ჩაატარებდნენ, ხოლო მანამდე, რაზმის საბჭოს შეკრებაზე განიხილავდნენ პიონერთა რიგებში მისაღებ მოსწავლეთა საკითხს.

— მეც მიმიღებთ? — შეეკითხა ხელმძღვანელს გია.

— ენახოთ!

გიას ძლიერ უნდოდა პიონერი გამხდარიყო, განსაკუთრებით მოსწონდა გვიისა და რეზოს პიონერული სამკერდე ნიშანი. მოუთმენლად ელოდა რაზმის საბჭოს შეკრებას.

შეკრებაზე გიას განცხადება რომ წაიკითხეს, რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ გივიმ თქვა: — გიას ჯერ არ დაუშსახურებია ეს საპატიო წოდება; გუშინ, ფანჯრიდან, არითმეტკის წიგნი გადააგდო და ბოლო



გაკვეთილიდან გაიპარა, მე წინააღმდეგი ვარ მისი პიონერად მიღებისა.

— მეც წინააღმდეგი ვარ, წამეჩნუბა და თვითონვე შემდურის, — წამოიძახა რეზომ.

— გარდა მეგისა, ჩვენ, რაზმის დავალებით ვიყავით გიას სახლში. ბებია გვითხრა, რომ ის მთელ დღეს ბურთის თამაშს ანდობებს, გაკვეთილებს არ ამაზღებს და ბებოსაც არ ეხმარება. ბებია შეგვეხვეწა, როგორმე მომეხმარეთ გამოვასწოროთო. — დაუმატა გურამმა.

— რატომ არ უნდა მიმილოთ, მე ხომ „ორიანები“ არა მაქვს. მამაჩემი ფრონტზე დაიღუპა. — წამოიყვირა გიამ

კლასის დამრიგებელმა, რომელიც ამ შეკრებას ესწრებოდა, მიმართა გიას:

— შენ ამბობ, რომ ორიანები არა გაქვს და სამიანებით თავი მოგაქვს. ამბობ, რომ მამა ფრონტზე დაგელუბა. მერე შენ რით ამართლებ მამის დამსახურებას, რით სცემ პატივს მამის სახელს? ზარმაცობ, მეგობრებს ეჩხუბები, ბეზიას არ უჯერებ და გინდა მამის სახელით იამაყო! არა, გია, არა! შენ არა გაქვს ამის უფლება.

გია მასწავლებლის სიტყვებზე შეკრთა, ხმა ვერ ამოიღო და უცებ გარეთ გამოვარდა.

სულმოუთქმელად მიიღბინა სახლამდე ოთახში შევიარდა და ლოგინზე დაემხო.

— რა მოგივიდა, ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა ბებიაი გიას.

გია ხმას არ იღებდა, ბოლოს, როგორც იქნა, თავი აიღო და ყვირილი დაიწყო:

— რაზმის საბჭომ უარი მითხრა პიონერად მიღებაზე, შენც დაგიბეზღებოდა: არაფერს მიგონებსო, და რავიცი რა არ გითქვამს!

— მე, ჩემო კარგო, სიმართლე ვუთხარი. ღირსი არ ყოფილხარ და არ მიგიღეს. მამაშენი ხუთებზე სწავლობდა, თუმცა თამაშსაც ასწრებდა.

გია თავჩაღუნული იდგა.

— გია, გია, წამო ბურთი ვითამაშოთ, — მოისმა ეზოდან.

გია ფანჯარასთან მივიდა და გულმოუსულმა გასძახა:

— არ მინდა, არ მცალია.

ბებიას გაეღიმა. გია საწერ მაგიდას მიუახლოვდა და წიგნები გადაქექა.

— რას ეძებ, შვილო? შეეკითხა ბებია.

— აქ, სადღაც გაკვეთილების ცხრილი მქონდა და ვეღარ ვპოულობ.

საღამოს გვიემ უგუნებოთ ივანშმა, დედასთან საუბარს მოერიდა და მაშინვე ლოგინში ჩაწვა.



ჩაწვა, მაგრამ ვერ ისვენებდა. კედელზე დაკიდებულ მამის სურათს თვალი ვეღარ მოაშორა, მამა თითქოს ეუბნებოდა: არა გრცხენია, აგრე რად იქცევი, რომ ყველა გისაყვედურებსო?! გიას მოაგონდა კლასის დამრიგებლის სიტყვები: — რით ამართლებ მამის დამსახურებას?! — შერცხეა მამის თვალების ცქერისა, თავზე საბანი წაიხურა, და დიდხანს არ ჩაეძინა.

მეორე დღეს, დილით, სკოლაში წასვლამდე, გია კლასის დამრიგებელთან გაიქცა. ზარს ფრთხილად ჩამოჰკრა ხელი. კარები გააღეს.

— მოდი გია, — აღერსით შეიპატოე მასწავლებელმა. იგი მიხვდა რაც აწუხებდა ბავშვს.

— პატივცემულო მასწავლებლო, მასწავლებლო... — ლულულებდა გია.

— დამწვიდდი, მჯეროდა ასე მოიქცეოდი.

— დიახ, ვეცდები დღეიდან „ხუთებზე“ ვისწავლო, როდესაც გამოვსწორდები, ზომ მიმიღებენ პიონერთა რიგებში? — აღელვებით ამბობდა გია.

— უსათუოდ, ჩემო კარგო, უსათუოდ! ახლა წამოდი ჩემთან, ჩაი დაელიოთ. — უთხრა მასწავლებელმა, თავზე ხელი გადაუსვა და გია ოთახში შეიყვანა.

იმ დღიდან გია შეიცვალა. გაკვეთილებს ბეჯითად სწავლობდა, ბებიასაც ეხმარებოდა. მასწავლებლებიც კმაყოფილნი იყვნენ.

გავიდა ორიოდე თვე. გიას კლასი პიონერთა რაზმის შეკრებას ატარებდა და აი, ამ შეკრებაზე გიას პიონერად იღებდნენ.

„მე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი ამხანაგების წინაშე დაპირებას ვიძლევი; რომ მედგრად ვიდგები ლენინ-სტალინის საქმისათვის, კომუნისმის გამარჯვებისათვის. გაბრლებით ვიცხოვრო და ვისწავლო ისე, რომ გავხდე ჩემი სოციალისტური სამშობლოს ღირსეული მოქალაქე. პატიოსნად და განუხრევლად შევასრულებ ნორჩ პიონერების ყოფაქცევის წესებს“.

ამბობდა თვალგაბრწყინებული გია. შემდეგ ბავშვები გიას შემოეხვივნენ და პიონერად მიღება მიულოცეს.

იმ დღიდან წითელყელსახვევიანი გია მამის სურათს მუდამ პირნათლად შესტკეპროდა.


ზაპარია ზეკაზლიშვილი ენძელამ თქვა

ნახატი ა. ხუბიშვილისა

თოვლის ქვეშ გამოძვდობა,
მოვასწარ ვეელა ვევილებს,
მზემ დამაცხუნა, — ეინვის შიშს
გულშიაც კი არ კავივლებ,
დამდნარი თოვლის წვეთებმა
ხელპირი დამბანინეს.

მოვდივარ, ჭრელ-ჭრელ გაზაფხულს
წინ მოვუბღვები, იცოდეთ,
სოფლის გზა-შარას მოვეუბი,
ვეელა ბავშვები მიცნობენ,
მსოლოდ „ენძელა“ არ კმარა, —
„მასწარობელიც“ მიწოდეთ.





ილია სინარულიძე

ნახატები ალ. ვეფხვაძისა

ძ მ ე ბ ი

კვირა დილით პატარა შალვა დედამ თოჯინების თეატრში წაიყვანა. ხილს რომ მიუახლოვდნენ, შალვამ მოაჯირთან ხალხი დაინახა.

— ნეტავ რას უყურებენ?— გაიფიქრა მან, დედას დაუძვრა ხელიდან, მოაჯირთან მდგომ ორ კაცს შუა გაძვრა და ძირს ჩაიხედა.

— შალვა, ჩქარა, გვაგვიანდება.— დაუძახა დედამ და ხელი მოშკიდა.

— დედიკო, იქ რას აშენებენ?

— სანაპირო ქუჩას.

— როგორი იქნება?

— აი, ასეთი, როგორც ეს არის,— უპასუხა დედამ და მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაკენ მიუთითა.

— დედიკო, მიახლოდნენ როგორ აშენებენ, როდის დაამთავრებენ?— არ ისვენებდა შალვა.

— სახლში რომ მივალთ, ნოღარას ვეტყვი, მან ჩემზე უკეთ იცის, ის გაიმბობს.— უპასუხა დედამ.

ნასადილევს, * * *
შალვა თავის უფროს ძმას მიუბრუნდა:

— ნოღარ, დედიკომაც ხომ გითხრა, წამიყვანე ახალ სანაპიროზე! რამდენიმე ხნის შემდეგ ძმები მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მიდიოდნენ.

— შენოდენა რომ ვიყავი, მტკვრის ნაპირი ამ ადგილას მოტიტვლებული და დაქაობებული იყო. ძია ბერიას თაოსნობით დაიგეგმა და აშენდა ეს ლამაზი სანაპირო. იცი, რისთვის აგებენ მარცხენა სანაპიროს?— ჰკითხა ნოღარმა შალვას.

— იმისათვის, რომ ისეთივე ლამაზი და ფართე ქუჩა გვქონდეს, როგორც მტკვრის მარჯვენა მხარეს არის.— მიუგო შალვამ.

— არა გკოდნია, ვანა მარტო სილამაზისათვის აგებენ?! მართალია ეს ქუჩაც ქალაქს დაამშვენებს, მაგ-

რამ მთავარი ის არის, რომ თბილისში ადამიანების და მანქანების დიდი მოძრაობაა. მთავარი ქუჩები მოძრაობისაგან რომ განთავისუფლებულიყო, ამიტომ ააგეს მტკვრის მარჯვენა სანაპირო. ახლა ქალაქი ისე გაიზარდა, რომ მარჯვენა სანაპირო საკმარი არ არის. მარცხენა სანაპირო როდესაც დამთავრდება, აქაც ბევრი მანქანა ივლის, გაიგე?

— გავიგე, მაგრამ ეს ახალი ქუჩა, სადამდის უნდა მილიოდეს? — ჰკითხა შალვამ.

— ბარათაშვილის ხიდი ხომ იცი, წინათ მას მუხრანის ხიდს უწოდებდნენ.

— ვიცი!

— იქიდან დაწყებული მარცხენა სანაპირო, ორჯონიკიძის სახელობის პარკამდე მიიღწევს, ორჯონიკიძის პარკი გახსოვს? შარშან ზაფხულში საბავშვო მატარებლით რომ ისეირნე!

— მახსოვს, როგორ არა, შენ იმითმე იცი ყველაფერი, რომ ინჟინრობას სწავლობ.

— რომ გაიზრდები შენც ბევრს რასმე ისწავლი. ხომ ამბობ, მეც ინჟინერი უნდა გავხდეთ.

— უნდა გავხდეთ უსათუოდ, ნოდარ, მოდი ძირს ჩავიდეთ. — სთხოვა შალვამ ძმას, როდესაც ელბაქიძის ხიდზე გავიდნენ. ძმები მშენებლობას მიუახლოვდნენ. შალვა ფუტკრებით მოფუსფუსე მუშებს შეჰყურებდა; ზოგს ხრეში მოჰქონდა, ზოგს ცემენტი და ინჟინრის მეთვალყურეობით თავ-თავის ადგილზე ჰყრიდნენ.

— ეს ღობეები რათ გაუყეთებიათ მტკვარში? — იკითხა შალვამ.

— მტკვარი უნდა შეგვიწროვონ. ამ ადგილს მიწით ამოავსებენ და ზედ ბალნარი გაშენდება, — მიუგო ნოდარმა.

— მტკვარი ხომ ძლიერია, ადიდება და ყველაფერს დაანგრევს.



— ადამიანები, უფრო ძლიერები არიან. შენ რომ ღობეები გგონია, ის ღრობითი საგუბარია. აი, პირველი საგუბარი ბოძებით და ფიცრებით ოთხკუთხად არის შეკრული, შიგ რიყის ქვები ჰყრია, ეს იმითმე

გააკეთეს, რომ მის უკან ჯგებირი აშენდეს. საგუბარზე რკინიგზაა გაყვანილი, ხედავ?

— მატარებელი სადღაა?—იკითხა შალვამ.


— მაგ ლიანდაგებზე მატარებელი არ დადის. პატარა რონოდებით თიხას ეზიდებიან და საგუბრის კედლებში ჰყრიან, თიხა წყალს არ გაატარებს. მის უკანა კედელს ხომ ხედავ, ეს არის ჯგებირი, შეხედე რა მაღალი და სქელია; ერთმანეთში არეული სველი ხრეშით და ცემენტით აშენებენ. ჯგებრის აშენება რომ დამთავრდება, საგუბარს აიღებენ და წყალი ამ ჯგებრის კედლებამდე მოვა. ზამთარში მტკვარი პატარაა და მშენებლობაში ხელს არ უშლით. გაზაფხულზე მთებზე თოვლი დნება და წყალდიდობა იწყება;

მაშინ ძნელია კედლების ამოყვანა.

— ის რა არის „თახ-თახს“ რომ გაიძახის?

— ექსკავატორია; მიწას თხრის, ზემოთ ამოაქვს და სხვა ადგილზე სცლის. ამით მუშებს მიწის სამუშაოები უადვილდებათ. ტრაქტორის მუხლუხებზე შემდგარ პატარა ოთახში მემანქანე ზის და ელექტროენერგიით მართავს მას. აი, რეზინის მილიდან რომ წყალი მოჩხრიალვს ხედავ? იმ მილით, ჯგებრის შიგნით მომწყვდევულ პატარა გუბეებს ამოსწურავენ.

— ბარათაშვილის ხიდთანაც უნდა წამიყვანო, მთლიანად უნდა ვნახო, სანაპიროს მშენებლობა, რომ სკოლაში ამხანაგებს ვუამბო, — ამბობდა შალვა და სახლისაკენ ხალისით მიაბაკუნებდა.



გოგის წიგნი

წიგნები აქვს გოგის,
 მეც ხომ მინდა წიგნები,
 როცა დიდი ვიქნები,
 მეც მექნება წიგნები.
 ეს გოგის წიგნია,
 ო, რა კარგი წიგნია,
 ხშირად დაუშალიათ,
 ბევრჯერ ვერც მიმიგნია.
 აქ სახლები ახატია,
 ეს ბურღუნა დათვია,
 ამ ტომრებში ფქვილია,
 ეს ჩვენი წისქვილია,—
 ელექტრონით მუშაობს,
 განა წყალი სჭირდება,
 ახლა ჩვენი სოფელი
 ელნათურით ბრწყინდება.
 აქ მოთხრობა სწერია,
 ამ ღუეს კლასში მღერია.
 აქ ფაბრიკის მიღები,
 სჩანან ამონედილები.
 ჩემი ტანისამოსი,
 ჩემი ფეხსაცმელები
 ფაბრიკებში, აი აქ
 მუშებს ხელში სჭირიათ
 კოხტად შეუკვრიათ.
 ო, რა კარგი წიგნი აქვს,
 ჩემს ძამია გოგისა.
 წიგნი რომ აქვს გოგისა...
 მეც რომ მქონდეს სჯობია.

ნიკოლოზ ჩიჩავა





გიორგი შავერაშვილი

ნახატი რ. ხტურუასი

ქონდარა*)

—აბა მითხარით, რა არის ვაკეაქი?
კლასის შუაგულიდან ქონდარას ხმა
გაისმა:

—ეს არსებითი სახელია, პატივცემულო
დირექტორო და უპასუხებს კითხვაზე:
ვინ? რა?

—ამაზე ქართულის მასწავლებელთან
ილაპარაკეთ შემდეგ, — ღიმილით თქვა დი-
რექტორმა. — ახლა კი ჩვენ ამ სიტყვის მნი-
შენელობაზე ვლაპარაკობთ. ვინ შეტყვის?
თუნდაც აი, თქვენ, დათო!

დათო დაიბნა.

—ეს, როცა ჩვენი მეგობრობები ომში...
არაფრის რომ არ ეშინოდათ... როგორც
გმირები...

—ასეა, მაგრამ არა, მე ვამბობ აი აქ,
სკოლაში. — თქვა დირექტორმა. — აი, ჩვენს
მოსწავლეს, რომელმაც დაუსტვინა, თავისი
დანაშაულის აღიარებისა ეშინია. რა აკლია
მას?

—ვაკეაქობა. — უჩიზმად წამოიძახეს გუ-
რამმა და ქონდარამ.

—მართალია, ის მხდალია! მხდალების
დაფარვა შეიძლება? როგორ ფიქრობთ?
კლასი სდუმდა. უცებ დათომ ბოხი
ხმით თქვა:

—ამხანაგებს ხომ არ გავცემთ?

—მართალია, მაგრამ... ასეთი ამხანაგის
გაცემა ჩვენი კლასისათვის დახმარების
აღმოჩენა იქნება!

დირექტორი დაფიქრდა, ქონდარა ყურა-
დღებით შესცქეროდა მას. ქონდარა იდგა
მიღალი, ზორბა დათოს გვერდით და
ფიქრობდა:

„მე ვიცი ვინც დაუსტვინა და გაჩუმე-
ბული ვარ, მეშინია. მეშინია, რომ მიმტყე-
პავენ, რომ დამცინებენ, გამოადის, რომ
მართლაც მხდალი ვარ“. ქონდარა ღელავ-
და, ფეხს ხშირად ინაცვლებდა, ბოლოს

*) დასასრული, იხილეთ „დილა“ № 3.

ჩემად, ყველასთვის შეუმჩნეველად ჩამოსწია დათოს ხალათის კალთა.

— ჯმუხავ... გამოტყდი!

— დამეხსენ, ხმა ჩაიკმინდე!

— შე გაგზუმდები, თუ შენ გამოტყდები...

— დამეხსენ, თორემ შევ დღეს დაგაყენებ...

და დათომ ჩემად მუშტი დაანახვა. უცებ დირექტორი შეეკითხა:

— ჯმუხადე, მანდ რას ჩურჩულებთ?

— აი, ისევ ამაზე.

— რაზე?

— აი, პატივცემულო დირექტორო...

ხმაზე კიდევ შეიძლება ცნობა, სტვენის გამოცნობა კი შეუძლებელია.

ქონდარამ ვეღარ მოითმინა, მან ისევ მძლავრად ჩამოსწია დათოს კალთა.

— თქვი, ჩქარა, თორემ მე ვიტყვი, გესმის?

— რაო?

— ისა, რომ ამ წუთში თქვი! — და ქონდარამ ნელ-ნელა დაიწყო ხელის აწევა. დათომ ქონდარას ფეხზე უჩქმიტა, მაგრამ ის მაინც ხელს მაღლა სწევდა. დირექტორმა ეს შეამჩნია.

— საყვარელიძე, რა გინდა, თქვი?

დათო უფრო გამეტებით ჩქმეტავდა ქონდარას. ქონდარამ გაუძლო ტკივილს და მაღალი, წკრიალა ხმით თქვა:

— ახლავე, პატივცემულო დირექტორო, ახლავე.

კვლავ წაპკრა ხელი დათოს და ჩასძახა,

— აბა, ჩქარა, გაბედულად თქვი!

მოხდა მოულოდნელი ამბავი. დათომ თავი ჩაღუნა და ყრუ ხმით წამოიძახა:

— მე დაეუსტვინე, მე, მხოლოდ ისე, უნებურად...

* * *

ასე დამთავრდა ეს ამბავი. ვაკეეთილგების შემდეგ გაბოროტებული დათო ეცა ქონდარას და მუშტი მოუღერა. მაგრამ ამ დროს მთელმა კლასმა ერთხმით შეუტია მას:

— აბა, მოუსვი აქედან, შე უსტვინადე, შენა!

დათომ უკან დაიხია, დარცხენილი მიბრუნდა და სამასწავლებლოში შევიდა. არავინ იცის რა მოხდა იქ, მხოლოდ მეორე დღით დათო ყველაზე ადრე მოვიდა სკოლაში და როგორც კი ნინო მასწავლებელი კლასში შემოვიდა, წამოდგა, გაიჭიმა და უთხრა:

— პატივცემულო მასწავლებელო, თქვენ ეს... მამატიეთ... მე. თქვენ არასოდეს აღარ... აი, პატიოსან სიტყვას გაძღვეთ! და ქონდარას მიუბრუნდა.

— ქონდარ, მომეცი ხელი!

— აჰა! — უთხრა ქონდარამ და ორივე ხელი ვაკეატურად გაუწოდა.

ახლა ისინი წინანდებურად ერთმანეთის გვერდით სხედან, ერთ მერხზე: მაღალი, ზორბა დათო და პატარა, გაღეული ქონდარა.





ქ. მახსი

ნახატი ალ. გვიგელაშვილისა

ზ ა ნ გ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი თ ო მ ა

ნ ა მ ლ ვ ი ლ ი ა მ ზ ა გ ი

სამამულო ომის დროს, გერმანიაში, პირველად შევხვდი ამერიკელ ჯარისკაცებს. ისინი შარაგზის გასწვრივ იდგნენ. ხმამაღლა იცინოდნენ, ბრიალა კოცონებთან თბებოდნენ, კრივითა და ქილაობით ერთობოდნენ.

მათ შორის ერთი ზანგი ჯარისკაცი დავინახე, იგი დაღვრემილი იჯდა. თავი დაეხარა და ორივე ხელით თოფს დაყრდნობოდა. მის წინ გავიარ-გამოვიარე. მან შავი თვალეები შემომანათა და გამიღიმა. ჯარისკაცს თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა ჩემთვის. მივუახლოვდი, ზანგი ფეხზე წამოდგა და მხედრული სალაში

მომცა. იგი მაღალი და გამბარდი იყო. გამომეტყველება კეთილი ჰქონდა. სქელ ტუჩებს შორის მსხვილი, თეთრი კბილები მოუჩანდა.

ვთხოვე ჩემს გვერდით ჩამოგდარიყო. ჰერში თოვლის თეთრი ფიფქები მოფარუტებდნენ, ზანგს მხარზე ხელი დავადე და სახელი ვკითხე. მან გამიცინა და მითხრა, რომ თომა ჰქვია, ამის მეტი აღარაფერი უთქვამს და მხოლოდ ჩემს თბილ ქუდს შესჩერებოდა.

— რას უყურებთ აგრე გაკვირვებით, თომა? — ვკითხე ზანგს.

— თქვენს ქუდზე, წითელი, ხუთქიმიანი ვარსკვლავია მიმაგრებული.

ნეტავ იცოდეთ, როგორ მიყვარს ეს ვარსკვლავი. მე მასზე ხშირად ვფიქრობდი; 10—12 წლისა რომ ვიყავი, ნიუ-იორკში ერთ ვაჭართან ხელზე მოსამსახურედ ვმუშაობდი. მშობლებისაგან თქვენს სამშობლოზე ბევრი კარგი მსმენია. ხშირად ძონძეებზე მიგდებულს არ მეძინებოდა და თვალწინ აი, ეს ვარსკვლავი მედგა. მე მაშინ თავისუფალ საბჭოთა კავშირზე ვფიქრობდი, სადაც მრავალი ზანგი ახლა ჩინებულად ცხოვრობს.

თომა ერთი წუთით შეჩერდა. ერთხელ კიდევ შეხედა ჩემს ქულს და ჩურჩულით მითხრა:

— გთხოვთ, საბჭოთა მემორებს გადასცეთ ჩემი სიყვარული. მიყვარს წითელი ვარსკვლავი, იმიტომ, რომ საბჭოთა მემორები იმ ქვეყნის დამცველნი არიან, სადაც ზანგი ისეთივე სრულყოფილებიანია, როგორც სხვა ადამიანი.

თომას თვალები აუელვარდა და წამწამებზე ორი ცრემლი გადმოეკიდა.

— ამერიკაში, ზანგი, ადამიანი კი არა, უსულო ნივთია, შეიძლება მისი მოკვლა, გაყიდვა — თეთრკანიანები პასუხს არ აგებენ, — ნაღვლიანად თქვა მან.

ამ დროს ხმაური შემოგვესმა. ორივემ მივიხედეთ. ბებერი წითლის ხის უკან ახმახი ამერიკელი ოფიცერის ბიროტი თვალეები შევნიშნეთ.

— ეს ჩვენი ოფიცერია. ალბათ მან ყველაფერი გაიგო, რაც გითხარით. — აღეღვებით გამიზიარა თანამოსაუბრემ და საჩქაროდ ფეხზე წამოიქრა.

დაბინდებისას ერთ სახლში შევედი და ღამისგასათევი ადგილი მოვითხოვე. მთელ ღამეს თვალიდან არ მცილდებოდა ზანგი ჯარისკაცის გამხდარი, შავი სახე, მისი თვალეები, ხან ცრემლით ავსებული და ხან მომღიმარი.

— ჩემი მიზეზით არ დასაჯონ საბრალო. — ვფიქრობდი.

მეორე დღეს ისევ იმ ადგილზე გავიარე, სადაც ზანგი ჯარისკაცი გავიცანი, გული სიხარულით ამიძგერდა, სწორედ იმ წიფელთან იჯდა თომა. მისკენ ჩქარი ნაბიჯით წავედი... მაგრამ დავრწმუნდი, რომ იგი თომა არ იყო.

— სად არის თომა? თუ იცნობთ დაუძახეთ, — ვთხოვე ხესთან მჯდომ ჯარისკაცს.

ზანგმა ჯარისკაცმა ხმა არ გამცა, მხოლოდ ორ-ორი თითის ერთიმეორეზე გადაჯვარედინებით მანიშნა, რომ თომა ახლა საპურობილგეშია.

მოასწავლტებული შარავზის გასწვრივ ისევ სჩანდნენ ჯგუფ-ჯგუფად მდგომი ამერიკელი ჯარისკაცები. ისინი ხმაბაღლა იცინოდნენ, ბრიალა კოცნითან თბებოდნენ, კრივითა და ქიდაობით ერთობოდნენ...

— თომა, სადა ხარ ახლა, რა ბედი გეწვია სიმართლისათვის?!

დათვი, მელია და მგელი

ზღაპარი

დათვი, მელია და მგელი დამშობილდნენ. პირობა დადეს: რაც ვიშოვოთ თანაბრად გავიყოთო და გზას გაუდგნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, ტყეს ვასცდნენ და მდინარის პირას დაისვენეს.

—ხელაეთ? სოფელი მოსჩანს; შელამდება თუ არა, ერთად წაიდეთ. ჰაი დედასა! რამდენი ქათამი, იხვი და ბატი მომიპარავს... მაგრამ ახლა კი მწელია, — თქვა მელიამ.

—მე კი, აი, მაღალი ხე რომ მოსჩანს, იმ ეზოდან მრავალი სკა წამილია და თაფლით ყელი ჩამიტკბარუნებია, — ჩაიბურღლუნა დათვმა.

—რა დრო იყო! ბზო, თხა და ცხვარი მომიგდია ზურგზე და ტყისაკენ გამოიქანებია, — დაუმატა მგელმა.

უცხად რაღაც ხმა მოესმათ. ყურები ცქვიტეს. მიიხედეს და დანახეს: ბურჭებ-

თან თეთრი კრაი ბლალდა.

გახარებული მელია წამოდგა და მგელბრებს ეშმაკურად უთხრა:

„ის კრაი ჩემი ბიძაშვილია და მე მეძახისო.“

ხარ მგელს, პირზე ნერწყვი მოადგა და თვალები გაუბრწყინდა:

„მგელუკა არ ვიყო, თუ მე არ მეძახდეს; ეგ ხომ ჩემი შვილობილია, დედამისმა ჩამაბარა და რომ არ მივხედო, საყვედურს მეტყვისო.“

„დათუნია არ მერქვას, თუ ტყუილს ვამბობდე; ეგ ხომ ჩემი ავადმყოფია, ყურები სტყევა და იმიტომ ყვირის. ტყის თაფლი ყურის ტკივილის წამალია, წავეუსვამ თუ არა, მაშინვე მორჩებაო,“ — იცრუა დათვმა.

როცა შეატყვეს რომ ერთმანეთს ატყუებდნენ, მაშინ მელიამ ეშმაკურად ჩაიციინა:

—რაკი ასეა, ვკითხოთ: ჩვენ შორის, რომელიც უფრო უყვარს, პირველი მასთან ის მივიდეს, — თქვა მოხერხებულმა მელიამ და კრავს შესძახა:

კრავო ხუკუქთმიანო,
ლამაზთვალეზიანო,
ოქროს ყურებიანო,
ვერცხლის ჩლიქებიანო,
ვის ვუსყვარებარ მე?

—მეე! — დაიმახა კრავმა.

გახარებულმა მელიამ მგელბრებს ამაყად გადახედა. ის იყო, კრავთან უნდა მიტუნტულებულიყო, რომ მგელმა შეაჩერა:



— არა, მელაკუდავ! ჩვენც უნდა ვკითხოთ, — თქვა მგელმა. კრავი მელიაზე უკეთ უნდა შევაქოო, — გაიფიქრა და შესძახა: კრავო ხუჭუტუთმიანო, ლომის თვალებიანო, ვეფხვის კლანჭებიანო, დივლი ლაღე, დალაღმე, ვის ვუყვარვარ მე?

— შეე! — უპასუხა კრავმა.

ის იყო, გახარებული მგელი კრავს უნდა მიხტომოდა, რომ დათემა შეაჩერა.

— დაიცა, დაიცა! მეც რომ ვკითხო, ვითომ ამით რა დაშავდება! — თქვა გულდაწყვეტილმა დათემამ და კრავს შესძახა:

კრავო ოქროსთმიანო, სალამურის ხმიანო, თაფლის თვალებიანო, ბროლის კბილებიანო, ვის ვუყვარვარ მე?

— შეე! — ცვლავ გაიმეორა კრავმა.

გახარებული დათვი მეგობრებს მიუბრუნდა, ის იყო, კრავისაკენ უნდა გაძუნძულებულიყო, რომ მელიამ შეაჩერა:

— მოიცა, დათუნი! ხომ ხედავ კრავს სამივე თანაბრად ვუყვარვართ; მასთან პირველი ის მივიდეს, ვინც პირველმა დაინახა, — თქვა მელიამ.

მაგრამ როცა შეატყა ვერ მორიგდებოდნენ, დაუმატა:

— გაეიქცეთ და ვინც მისწრებს, მისი იყოს.

სამივენი კრავისაკენ გაიქცნენ. ერთ ნაბიჯზე მიუახლოვდნენ თუ არა, ზუჩქები ჩაიწია, კრავი გვერდზე გადახტა და მეგობრები კი ღრმა ორმოში ჩაცვივდნენ.

სად იყო, სად არა, ყეფით გამოჩნდა ძაღლი და მუხას მოფარებული მონადირე გამოვიდა.

ძაღლი ყეფით მირბოდა. მალე მონადირეც ორმოსთან მივიდა.

— ამა! დაგიტირეთ თუ არა! შე წუწკო შენა, — ჩასძახა მონადირემ მელიას, — შენ



არ იყავი, ჩვენი კოლმეფუნეობის ქათმები, იხვები და ბატები რომ შესანსლე?

მელია იფიცებოდა არაო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა.

— ჩვენი ხბო, თხა და ცხვარი, შენ არ შექამე, შე ხარბო? — უთხრა მგელს.

მგელი უარს ამბობდა არაო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა.

— შე ბურღლუნავ! სკები რომ მოიპარე და ფუტკარი დაგვიხოცე, შენ არ იყავი? — დათვი უარზე იდგა არაო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა.

მონადირემ კრავს ალერსით ხელი გადაუსვა და უთხრა:

— ჩემო ყოჩაღო კრავო, ვინ დაიქირა ეს მხეცები?

— შეე! — დაიბაღლა კრავმა. მოხერხებულ მონადირეს სოფელლებმა მალელობა გადაუხადეს და დასაჩუქრეს.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ხეში კვირტი ჩამდგარიყო; უხაროდათ, რომ სოფელში მტაცებელი აღარ იყო.



ბუნების კარი

წიფელი

ნოემბერში ყველა სამუშაო მოთავდა სოფლად და კოლმეურნეები, დიდი და ბატარა, წიფლის წიწიბოს შესაგროვებლად გაემშურნენ.

წიფლიანში ერთი ერთიამული იღვა; ზოგი წიფელზე გასულიყო და ნაყოფით დატვირთულ ტოტებს ჰოვრით ბერტყავდა, ზოგიც ხის ძირას ფუსფუსებდა; ყავისფრად დაბრაწულ წიწიბოს ჰხვეტავდა და ტომარაში ჰყრიდა.

შუადღისას ოცამდე ტომარა პირამდე აავსეს. ბიჭები წიფლის ნაყოფს შექტეოდნენ და საუბრობდნენ.

— უჰ, რამდენი შევეგროვეთ! ამისაგან ათი ფუთი ზეთი მინც გამოიხდება. — თქვა ნოდარმა,

— ამის ზეთი ვის გაუგია! — გაიოცა გიგამი.

საუბარში ბრიგადის ხელმძღვანელი ძია გიორგი ჩაერია:

— ბავშვებო, — მიმართა ძია გიორგიმ, — აბა, თუ იცით, რისგან აკეთებენ საპონს?!

— საპონს?!

— ბავშვები სდუმდნენ. არაეინ იცოდა საპნის საიდუმლოება. მაშინ ზედაუბნელმა თამაზმა გახედა:

— საპონს?! მე ვიტყვი... ლორის ქონს ხარშავენ დიდხანს და კიდეც რალაცებს

შეურვეენ... კარგად არ ვიცი რასა. ქალაქში რომ ვიყავ, იქა ვნახე.

ლორის ქონი და საპონიო! გაიცინეს ბავშვებმა, ძია გიორგიმ კი თანხმობის ნიშნად თავი დააქნია:

— სწორია, თითქმის სწორია. ცხიშია საჭირო, კიდეც სოდა და სხვა მასალა, ერთი სიტყვით მთავარი — ცხიშია! მაგრამ იცით თუ არა, რომ ამ წიფლის წიწიბოსაგანაც საპონს მიიღებენ ქარხანაში?!

დამიგდეთ ყური: წიწიბოს დიდ საწნებ მანქანაში ჩაყრიან და ზეთს გამოხდიან. პირველი გამოიხდებიან — შვენიერი საქმელი ზეთია, მეორე გამოიხდებიან საპნის ქარხანაში წაიღებენ თუნუქის კასრებით და საპონს გამოიხდებიან დიდ ქვაბებში...

გოცნებულნი ბავშვები თვალებში შეჭყურებდნენ ბრიგადირს, ის კი ვანაგრძობდა:

— დალოცვილი ხეა წიფელი, დალოცვილი! ხეს წვრილად დახერხავენ და გამოხდიან: ძმარს, სპირტს, კუპრს... ახლა ფიკარს აღარ იკითხავთ?! სად არ გამოიყენება; მშენებლობაზე, ავეჯეულობისათვის...

შესვენების შემდეგ ისევ აფუსფუსდა წიფლიანი. ისევ ყიყინი და სიცილი გაისმა. ახლა უფრო გულმოდგინედ აგროვებდნენ ბავშვები ყავისფრად დაბრაწულ წიფლის წიწიბოს.

გალაქტიონ მინდაძე

შემთხვევა ზოაპარკში

ზოლოვოგიურ ბაღში ცხოვრობდა ერთი ლომი, რომელიც ძალიან დაბერებულიყო და წინანდებურად სწრაფად ვეღარ მოძრაობდა. ამიტომ სარგებლობდნენ ვირთავები, ძვრებოდნენ მის ჯალიაში და

ლომს კბენდნენ. შეეცოდა მომვლელს და ლომთან გულადი ფინია შეუშვა. ლომი გაბრაზდა და ფინიას მოკვლა დააპირა, მაგრამ ძალღმა ყურადღება არ მიაქცია,



მან გალიის კუთხეში ვირთაგვა დანახა, უცებ დაახტა ვირთაგვას და დაახრჩო. ლომი ვაოცდა და მიხვდა, რომ ძაღლი მასთან სამეგობროდ იყო მოსული. ყოველ საღამოს, დაძინებისას ლომი

ფინიას თათებს გადახვევდა, ფინიაც თავს მიადებდა ლომის განიერ მკერდს და მკერდს თან იძინებდნენ. ამის შემდეგ არც ერთ ვირთაგვას აღარ შეუწყუხებია ლომი.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

მ ვ რ ი ქ ე ლ ა ს ა მ ბ ა ვ ი

ნახატები ან. კანდელაკისა



1. კრუხის მახლობლად ჩატუტულ პატარა მურიას, საბუღრიდან რალაც ხმაური ჰოესმა, უნდოდა გვეგო, თუ რა იყო, მაგრამ ახლო მისვლას ვერ ბედავდა.



2. როდესაც კრუხი წყლის დასაღევად წავიდა, ცნობისმოყვარე მურიკელამ დრო იხელთა, საბუღართან მიკუნტულდა და შიგ ჩაიხედა.



3. თურმე, საბუღარში ახლად გამოჩეკილი წიწილები ისხდნენ. საბუღარი წაიქცა და შემინებული მურია გაოცებით ისმენდა უცნობი პატარების წიავ-წიავს.



4. წიწილების ხმაზე კრუხი შემოვარდა, მურიას ჩაუნისკარტა და უთხრა: — გაბსოვდეს: რაც შენი საქმე არ არის, მას თათი აღარ ახლოო!

ხალხური გამოცანები

1. ყმაწვილთათვის სასარგებლო ვარ მათგანვე გახწორული, თავსა მკრიან, რომ გამოჩნდეს დაფარული შავი გული.
2. აბა რა მქვიან სახელად?! მეც ყვავილი ვარ ველისა, მიყვარს წითელი სამოსი, კობტად დაქერა ყელისა. შეკრებილი ან. ახალშენიშვილის მიერ

პასუხები

ჟურნალ „დიღა“-ში მოთავსებულ გასართობზე

№ 1

- ხალხური გამოცანები—1. ახალი წილი, 2. ფუბანი, გამოცანები:—1. თხა, 2. ხმარბი, 3. თოვლი.

№ 2

- ხალხური გამოცანები—1. ნაშენი, 2. ტატი, 3. ...



179/445

29 დ.გ.ა
КАБ БУВЛНОТЕКОВЕ Д.И.И.
2 12

ცხენოსნები

მინდორში ცხენის ფაფარი
ჭეჭილივითა ლელავს...
ჩვენი უბნელი ბიჭები,
ნიკა, გიგა და გელა
სკოლიდან ერთად ვბრუნდებით—
ცხენოსნები ვართ ყველა.


შუკაზმულს ჩვენ არ გვანდობენ,—
გვიყვარს უბელო ცხენი,
ამიტომ გვიძევს სამივეს
ჯიბეში ტარო—ხმელი.

ყურს აცქვეტს—გამოგოგდება
სამი წითელი რაში;
ქუდებს მოვიხდით სამთავე
და შიგ. ტარობს ჩავფუშენით.

ცხენს მივითყუებთ ყორესთან,—
ზედ შევადგებით ყორეს,
ქეროზედ მოვაფრინდებით,
მინდორში გავაქროლებთ...

გავტოპაეთ სოველ სათიბებს,
არ გვეკარება შიში,
იმეორებენ ტყეები
ჩვენს სიმღერას და ყიყინს...
ასე ვვზრდებით სამშობლოს
სამი მამაცი ბიჭი.

შპრპან ლუპანიძე



ყლის მხატვრობა ნ. შაისაშვილისა

ბასუბინსმიხილი რედაქტორი რ. შარშიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. აბაშიძე, შ. ბურჯანაძე, ი. შარშიანი, თ. თაყაიშვილი,
შაჰუ. შარშიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფროვილი, ზ. ცხადაძე.
გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 სართ. ტელ. 3-81-85
გამომცემლობის შეფ. № 51 სტამბის შეფ. № 376/757 ტირაჟი 7000 ფე 01816 ფასი 5 მან.
ტექსტი აწარმოვია ლ. ზ. შერიას სახელობის პოლიგრაფიკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, ყურნალი
დაბეჭდილია ოქტომბრის სისტემის მანქანაზე „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში, თბილისი, რუსთაველის პროსპექტ. № 42